პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 7 აგვისტო, 1942 წ. № 185 (6501). ფასი 15 კაპ.

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

მოსავლის აღება—ეს იგივეა, რაც ფრონტზე ბრძოლები

მოსავლის კარგად აღება, კვების პროდუქტების მომჭირნედ ხარჯვა—ეს ფაშისტთა ბანდასთან ომში მნიშვნელოვანი ბრძოლის მოგებაა. (მ. ი. კალინინი)

მ. კალინინი

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს

ამხანაგებო, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებო! წელს მე მეორედ მოგმართავთ თქვენ. ჩემი პირველი მომართვა საგაზაფხულო თესვის ჩატარებას ეხებოდა. და, როგორც ხედავთ, ბუნებამ კარგად დააჯილდოვა კოლმეურნენი და თქვენც კარგი შრომისათვის. საუცხოო მოსავალი მოვიდა. ახლა ამოცანა ის არის, რომ თავის დროზე ავიღოთ მოსავალი, ავიღოთ ისე, რომ არ გვექნეს ეგრეთწოდებული საწარმოო დანაკარგი. ეს არც ისე იოლი საქმეა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ წელს განსაკუთრებით წვიმიანი ამინდებია.

ზედმეტად მიმაჩნია მოგაგონოთ, თუ სად ხდება და რა იწვევს დანაკარგს. ეს თქვენ ჩემზე უკეთესად იცით. მაგრამ ერთი კი შემიძლია გითხრათ, რომ თითოეულ კვადრატულ მეტრზე ათი თავთავის დაკარგვა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამოანგარიშებით, მთლიანად ჩვენს ქვეყანაში ასეულ მილიონობით ფუთს შეადგენს. ასეთი მფლანგველობა წელს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩავიდინოთ.

დანაკარგი არ უნდა გვქონდეს, დანაკარგი მოსავლის აღებისას, რითაც უნდა იყოს ეს გამოწვეული, ჩვენი ქვეყნისათვის ამ მძიმე დროს სამშობლოს ინტერესთა ღალატს, წითელი არმიისათვის ზურგში ლახვრის ჩაცემას ნიშნავს.

ჰიტლერელი ყაჩაღები თავიანთ ქვეყანასა და მთელ ევროპას შიმშილით აწამებენ. ისინი ჩვენს პურით ყველაზე მდიდარ რაიონებს ჰქელავენ და ფიქრობენ შიმშილით ამოგვხოცონ. მაგრამ ეს არ მოხდება, ამას ჩვენი ხალხი არ დაუშვებს.

ამხანაგებო, სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებო, თქვენი ვალია სამშობლოს წინაშე—უზრუნველჰყოთ მოსავლის აღების სამუშაოთა თავის დროზე დაწყება, ჩააბათ მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა მოსავლის აღებაში, გამოიყენოთ მთელი შესაძლებლობანი იმისათვის, რომ უხვი მოსავალი უდანაკარგოდ იქნას აღებული.

ეს ეხება არა მარტო მარცვლეულ კულტურებს, არამედ ბოსტნეულსაც.

მოსავლის კარგად აღება, კვების პროდუქტების მომჭირნედ ხარჯვა—ეს ფაშისტთა ბანდასთან ომში მნიშვნელოვანი ბრძოლის მოგებაა. მოსავლის აღება—ეს იგივეა, რაც ფრონტზე ბრძოლები.

მაშ ჩვენის მხრივ ყველაფერი გავაკეთოთ, რომ ეს ბრძოლა მოვიგოთ.

გთხოვთ ჩემი წერილი გააცნოთ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, ხოლო თუ შესაძლებელია, ყველა კოლმეურნესაც.

1942 წლის 4 აგვისტო (საქდესი).

გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის

დიდი სამამულო ომის დღეებში საბჭოთა საქართველოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მიერ გაზაფხულზე გაწეულმა შრომამ საუკეთესო ნაყოფი გამოიღო. წელს პურეულის კარგი მოსავალია. ამოცანა ახლა ის არის, რომ მთლიანად, უკანასკნელ თავთავამდე ავიღოთ მოსავალი და პირნათლად შევასრულოთ სახელმწიფო ვალდებულებანი. მთელი რიგი კოლმეურნეობები ამ საბრძოლო დავალებას წარმატებით ასრულებენ. მაგრამ ცალკეულ კოლმეურნეობებში პურეულის უდანაკარგოდ აღება ორგანიზებული არ არის, ზოგან არ ატარებენ ყველა იმ ღონისძიებას, რაც პურეულის უდანაკარგოდ აღებას უზრუნველჰყოფს. გურჯაანის რაიონის სოფ. ჯიმითის ბერიას სახელობის, სოფ. გურჯაანის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობებში ვხვდებით პურეულის დანაკარგს. თიანეთის რაიონის სოფ. ქებოტის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში დანაკარგის წინააღმდეგ ბრძოლა სუსტად არის გაშლილი. გორის რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებში (სოფ. ვარიანი, ქვემოსობისი, ოთარშენი, შავშვები) თავთავიანი მარცვლეულის დიდძალ დანაკარგს აქვს ადგილი.

რა იწვევს პურეულის დანაკარგს?

როცა პურეულს დროზე არ იღებენ, მარცვლეული გადამწიფდება და ცვივა. ამიტომ საჭიროა არ დაველოდოთ პურეულის მომწიფებას მთელ ფართობზე და მოსავალი შერჩევით ავიღოთ მისი მომწიფების მიხედვით და არ დავუშვათ პურეულის აღების გაჭიანურება. განსაკუთრებით პირველ რიგში უნდა ავიღოთ მარცვლეულის საადრეო ჯიშები და მით თავიდან ავიცილოთ მარცვლის ჩაცვივნა.

როცა მოსავლის აღებაზე მთლიანად არ იყენებენ მარტივ მანქანებს და ხელით სამუშაო ინვენტარს. როცა მარტივი მანქანებით პურეულს მთელ ფართობზე არ სთიბავენ და ალაგ-ალაგ სტოვებენ მოუმკელ პურს. დანაკარგის თავიდან ასაცილებლად მარტივ მანქანებზე მარცვალმჭერები უნდა მოვაწყოთ.

დანაკარგს იწვევს, როცა კომბაინებზე არ არის მოწყობილი მარცვალმჭერები, ნამჯის დამბულულებლები და საჭირო მოწყობილობა ჩაწოლილი პურეულის ასაღებად.

დანაკარგის წყაროა ის, თუ დააგვიანე ძნებად შეკვრა და ზვინებად დადგმა. თუ ზვინი ცუდად დადგმულია, მაშინ წვიმა გააფუჭებს მარცვალს. ამისათვის საჭიროა პურეულის მოთიბვისთანავე მოვაწყოთ მარტივი მანქანებითა და ხელით ძნების დაუყოვნებლივ შეკვრა და მათი ბულულებად, დაქანებულად და ჯვარედინებად დადგმა.

დანაკარგს იწვევს ისიც, როცა სალეწი მანქანები კარგად არ არის გამართული. მაშინ მარცვალი დარჩება ნახორსა და ჩალაში, როდესაც ღია კალოზე კარგად არ არის მოწყობილი პურეულის დაცვა.

დანაკარგის წყაროა პურეულის უხეირო გადაზიდვა. როცა მარცვლეული გადააქვთ უვარგისი ტარათი და ურმით, იგი გზაში იფანტება. ამიტომ პურეულის გადაზიდვას სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ. დანაკარგის წყაროა ის, როცა მოწესრიგებული არ არის აღებული პურის ზუსტი აღრიცხვა და შენახვა.

მინდვრად არ უნდა დავტოვოთ არცერთი თავთავი. ცხენისა და ხელის ფოცხით მოვფოცხოთ თავთავები, აქტიურად ჩავაბათ მოსწავლეები თავთავების ხელით შეგროვების საქმეში. არ დავუშვათ დანაკარგი.

„დანაკარგი არ უნდა გვქონდეს, დანაკარგი მოსავლის აღებისას, რითაც უნდა იყოს ეს გამოწვეული, ჩვენი ქვეყნისათვის ამ მძიმე დროს სამშობლოს ინტერესთა ღალატს, წითელი არმიისათვის ზურგში ლახვრის ჩაცემას ნიშნავს“ (მ. კალინინი).

მოსავლის უდანაკარგოდ აღება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმების შესრულება საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამხედრო-სამეურნეო ამოცანაა ვერაგი მტრის — პირსისხლიანი ფაშიზმის საბოლოო განადგურების დაჩქარების საქმეში. პურის დამზადების გეგმების მთლიანად და მთავრობის მიერ დაწესებულ ვადებში შესრულება კოლმეურნეობათა პირველი მცნებაა.

მოწინავე კოლმეურნეობებს კარგად ესმით, რომ სახელმწიფოს ინტერესები ყველაფერზე უფრო მაღლა უნდა იდგეს.

მაგრამ ზოგან ჯერ კიდევ ვხვდებით სახელმწიფოსათვის პურეულის ჩაბარების გაჭიანურებას. გორის, გურჯაანის, ქარელის, ლუქსემბურგის რაიონების ზოგიერთი კოლმეურნეობა აჭიანურებს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარებას.

სოფლის კომუნისტთა, კომკავშირელთა, კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ამოცანაა მთელი მუშაობა ისე წარმართონ, რომ პურეულის სახელმწიფოსათვის ჩაბარება ფართოდ გაიშალოს და სახელმწიფო ვალდებულებანი შესრულებულ იქნას დროულად და მაღალხარისხოვნად.

ძალაში შევიდა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის განგრძობილი სავაჭრო შეთანხმება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ 1942 წლის 1 აგვისტოს დაამტკიცა ამერიკის შეერთებულ შტატებში აკრედიტებულ საბჭოთა ელჩ მ. მ. ლიტვინოვსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან ბ-ნ კორდელ ჰელს შორის ნოტების გაცვლა, რაც მოხდა ა. წ. 31 ივლისს და შეეხება იმას, რომ 1943 წლის 6 აგვისტომდე განგრძობილ იქნა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მოქმედი სავაჭრო შეთანხმება, რომელიც ძალაში რჩება ამ ვადის შემდეგაც, რამდენადაც იგი შეცვლილი არ იქნება უფრო ფართო სავაჭრო შეთანხმებით და უნდა შეწყვეტილ იქნას მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი ამ ორი მთავრობათაგანი 6 თვით ადრე წერილობითს გაფრთხილებას შეიტანს.

1942 წლის 1 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გამოაცხადა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დადებული სავაჭრო შეთანხმება, რომელიც განგრძობილ იქნა მ. მ. ლიტვინოვსა და ბ-ნ კორდელ ჰელს შორის ნოტების ხსენებული გაცვლით.

ამრიგად, სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის განგრძობილი სავაჭრო შეთანხმება ძალაში შევიდა.

სსრ კავშირში თურქეთის ახლადდანიშნულ ელჩ აჩიკალინის განცხადება

ანკარა, 4 აგვისტო (საქდესი). დღეს სსრ კავშირში გამგზავრების წინ ახლადდანიშნულმა თურქეთის ელჩმა აჩიკალინმა შემდეგი განუცხადა საქდესის კორესპონდენტს: „მე განსაკუთრებით ბედნიერი ვარ იმის გამო, რომ წილად მხვდა ვიყო ჩემი ქვეყნის წარმომადგენელი საბჭოთა კავშირში, რომელიც ჩვენი მეზობელი და მეგობარია. მე ვიცნობ სსრ კავშირს, ვინაიდან 10 წლის წინათ თანამდებობა მეკავა იქ და ამას წინათ იქ მივლინებაში ვიყავი. მე საუკეთესო მოგონებანი შემრჩა ამ ქვეყანაში ჩემი ყოფნისა და იმ კონტაქტის შესახებ, რომელიც ამ ქვეყნის ხელმძღვანელებთან მქონდა. ამიტომ იქ უდიდესი კმაყოფილებით ვბრუნდები და მტკიცედ მაქვს განზრახული განვამტკიცო თურქეთსა და სსრ კავშირს შორის არსებული მეგობრული დამოკიდებულება“.

უხვი მოსავალი უდანაკარგოდ ავიღოთ

სიღნაღი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). სიღნაღის რაიონის 19 კოლმეურნეობიდან 5 აგვისტოსათვის მოსავლის აღება უკვე დამთავრებული ჰქონდა 12 კოლმეურნეობას. ყველაზე მეტი წარმატებით იმუშავეს სოფ. ანაგის კოლმეურნეობა „გლეხის მაგალითმა“ (თავმჯდომარე გ. ვარამაშვილი), ანაგის ტელმანის სახელობის (თავმჯდომარე ი. ზედელაშვილი), ვაქირის ვოროშილოვის სახელობის (ხ. გზირიშვილი), საქობოს ლენინის სახელობის (ლ. ინაშვილი), ტიბაანის მოლოტოვის სახელობის (ე. გურაშვილი), ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის (თ. ტარყაშვილი) კოლმეურნეობებმა.

აღნიშნულ კოლმეურნეობებში კარგად არის დაყენებული დანაკარგებთან ბრძოლა—სპეციალურად გამოყოფილი მოსწავლეები იღებენ თავთავებს.

ათობით კოლმეურნეობები მოსავლის აღებას უახლოეს დღეებში დაამთავრებენ. ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში განსაკუთრებით გააძლიერეს მოსავლის ხელით აღება. სოფ. საქობოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ მოსავალი 28 ჰექტარზე ხელით აიღო, წნორის კოლმეურნეობა „გლეხის სინათლემ“—16 ჰექტარზე.

მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა უკვე დაამთავრეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება. მათ შორის მოწინავენი არიან სოფ. საქობოს ლენინის სახელობის, ბოდბისხევის სტალინის სახელობის, მაჩხაანის კიროვის სახელობის, ძველი ანაგის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობები.

რაიონის კოლმეურნეობებმა სრულიად-საკავშირო სოცშეჯიბრებაში ჩაბმისას იკისრეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება ვადაზე ადრე დაამთავრონ. კოლმეურნეები წარმატებით იბრძვიან ამ ვალდებულების შესრულებისათვის.

დ. ლომთაძე

მტს-ი უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში

ყარაია („კომუნისტის“ სპეც. კორ.). სრულიად-საკავშირო სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის ყარაიის მტს-ის (დირექტორი გ. დევდარიანი) მუშაკები დაუღალავად მუშაობენ. მტს-მა ვადაზე ერთი თვით ადრე 105 პროცენტით შეასრულა 1942 წლის პირველი ნახევრის დავალება. ტრაქტორისტები, კომბაინერები და სხვ. ყოველდღიურად ახალ წარმატებებს აღწევენ. წელს რბილ ხვნაზე გადაყვანით უკვე დამუშავებულია 5.530 ჰექტარი. მტს-ის მიერ გადაჭარბებით არის შესრულებული როგორც ხვნა-თესვისა და ფარცხვის, ისე კვლების გაკეთების, მზრალის კულტივაციის და სხვა სამუშაოთა გეგმები.

მტს-მა კერძოდ პურისა და ქერის აღების გეგმა უკვე შეასრულა 95-ზე მეტი პროცენტით.

სამუშაოთა გეგმების შესრულებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი პირველმა (ბრიგადირი კ. ჩხიკვაძე), მეოთხე (ლ. დანილჩენკო), მეშვიდე (მ. რუდენკო) და მერვე (მ. გუსეინოვი) ბრიგადებმა, სადაც დავალებები შესრულებულია 150-300-მდე პროცენტით. კერძოდ მუსტაფა გუსეინოვის ბრიგადის მიერ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 389 ჰექტარისა დამუშავებულია 872 ჰექტარი.

ტრაქტორისტმა პ. სეველნევამ, რომელმაც თავისი სპეციალობა სამამულო ომის დღეებში შეისწავლა, 66 ჰექტარის ნაცვლად დაამუშავა 180 ჰექტარი და 254 კილოგრამი საწვავი დაზოგა. ასეთსავე წარმატებებს მიაღწიეს ნ. რუდენკომ, ი. ხოჯაევმა, ო. ყურბანოღლიმ, ს. ბილანჩოღლიმ და ევდოკია ჩუმაკოვამ.

გეგმებს ასრულებენ, ზოგავენ საწვავ მასალას

ქუთაისი („კომუნისტის“ კორ.). რაიონის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადები წარმატებით იბრძვიან სრულიად-საკავშირო სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. სოცშეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ დაწინაურდა ა. მუშკუდიანის ბრიგადა, რომელმაც უკანასკნელ 6 თვეში გეგმის გადამეტებით (რბილ ხვნაზე გადაყვანით) მოხნა 512,5 ჰექტარი და დაზოგა 848 კილოგრამი საწვავი. მოწინავე ტრაქტორისტთა რიგებში ჩადგნენ თ. კაკუშაძე, მ. წიქორიძე და ა. თევდორაძე. განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს აგრეთვე ტრაქტორისტებმა: ა. ბერიძემ — რბილ ხვნაზე გადაყვანით გეგმის გადამეტებით მოხნა 154,2 ჰექტარი და დაზოგა 89 კილოგრამი საწვავი, ი. მაჩალაძემ — გეგმის გადამეტებით 105 ჰექტარი მოხნა, ა. ბერაძემ — სატრაქტორო სამუშაოები 247,5 პროცენტით შეასრულა და 430-ზე მეტი შრომადღე გამოიმუშავა.

ამჟამად ქუთაისის მტს-ის კოლექტივი ფართო მოსამზადებელ მუშაობას ატარებს მოსავლის აღებისა და საშემოდგომო სატრაქტორო სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის. 5 ბრიგადა მუშაობს 33 ტრაქტორის რემონტზე. მოწინავე ბრიგადირებმა მ. წიქორიძემ და ვ. ჰუმბურიძემ უკვე დაამთავრეს რემონტი (შეკეთებულია 7 ტრაქტორი). რემონტის სამუშაოებზე თავი ისახელა მჭედელმა ივანე კრავჩენკომ, რომელიც ცვლაში 3 ნორმაზე მეტს ასრულებს.

რ. კინწურაშვილი

სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება—პირველი მცნებაა

ლუქსემბურგი („კომუნისტის“ კორ.). სოფ. კოჩულის 26 კომუნარის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ნასიბ ნაბი ოღლი) სახელმწიფოს ნაცვლად 17 ტონისა 18 ტონა მაღალხარისხოვანი მარცვლეული ჩააბარა. სოფ. ასმალარიოს აზიზბეკოვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გულავათინ ამირასტან კიზი) ვადამდე შეასრულა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა. სოფ. ფახრალოს ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. გასანოვი) სახელმწიფოს 59 ტონა მარცვლეული ჩააბარა, სოფ. რატევნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. მანთაშოვი) — 15 ტონა და სხვ.

აღნიშნულმა კოლმეურნეობებმა ჩააბარეს აგრეთვე მარცვლეული მტს-ის მიერ გაწეული მომსახურების ნატურანაზღაურების ანგარიშში.

მაგრამ ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე დაუდევრობას იჩენს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის დროულად ჩაბარებისადმი. სოფ. ბოლნის-ხაჩინის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ლ. მინასიანი), სოფ. ბოლნის-კაპანახჩის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ისა მახმუდ ოღლი), სოფ. ქვემო-ქოშაკილისას კოლმეურნეობა „იგდამს“ (თავმჯდომარე ომარ ალიევი), მიუხედავად იმისა, რომ მათ თავთავიანი კულტურების ლეწვა დიდი ხანია დაიწყეს, სახელმწიფოსათვის დღემდე არ ჩაუბარებიათ პურეული. ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია.

სოფ. იმირ-ასანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ჰუსეინ ალიევი), სოფ. ბალიჯის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე სისაკ ბერიძე), სოფ. ასან ხოჯალოს „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ჰამიდ ისმაილ ოღლი) ჩასაბარებელ პუნქტში უხარისხო და გაუსუფთავებელი მარცვალი მიიტანეს. რამაც კოლმეურნეობის ტრანსპორტისა და თვით კოლმეურნეთა მოცდენა გამოიწვია 2-3 დღით, სანამ მარცვალს გაასუფთავებდნენ.

სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების საქმეში ნაკლოვანებებს სასწრაფოდ უნდა მოეღოს ბოლო.

ალ. სერგია

დანაკარგებს სუსტად ებრძვიან

თიანეთი („კომუნისტის“ კორ.). ფართოდ გაშალდა მოსავლის აღება სოფ. თეგერაანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ა. მესაბლიშვილი) დამკვრელური ტემპებით იღებს მოსავალს. მოთიბული პური მთლიანად გალეწეს.

მოსავლის აღებას მომზადებული შეხვდნენ თიანეთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობა და ხევსურთსოფლის კოლმეურნეობა.

მოსავლის აღების პირველმა შედეგებმა ცხადჰყვეს, რომ ზოგან დანაკარგებთან ბრძოლას სერიოზული ყურადღება არ ექცევა.

სოფ. ქებოტის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში აჭიანურებენ მოსავლის აღებას. ქერის ნათიბში დიდი დანაკარგებია. მაქსიმალურად არ არის გამოყენებული მოზარდებისა და მოხუცების შრომა თავთავების ასაკრეფად.

თიანეთის მტს-ი ჯერ კიდევ ყოველმხრივ მომზადებული არ არის მოსავლის ასაღებად. 27 ივლისისათვის კომბაინები გასული არ იყო ნაკვეთებზე. სალეწი მანქანების რემონტიც არ დაუმთავრებიათ.

მტს-ის დირექციამ და პოლიტგანყოფილებამ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ ამ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსასწორებლად.

ი. ბეჟანიშვილი

ნათესების დამუშავება

ჭიათურის რაიონმა სიმინდის მეორე თოხნა 1 აგვისტოსათვის დაამთავრა. ამჟამად მიმდინარეობს მესამე გათოხნა. ვენახების მეორედ შეწამლვის გეგმა მთლიანად არის შესრულებული.

საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის მდივანი აბრამიშვილი

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ჭელიძე

გარდამავალი წითელი დროშა ინგირის საბჭოთა მეურნეობას

ჟიურიმ, რომელშიაც შედიოდნენ ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დირექტორი ამხ. ა. თოფურია, უფროსი აგრონომი ამხ. ი. ქაჩიბაია, ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა პროფკავშირის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ს. მიქელაძე და სხვ., ივლისში ჩატარებული მუშაობისათვის თვიური გარდამავალი წითელი დროშა მიანიჭა ზუგდიდის რაიონის ინგირის ლ. პ. ბერიას სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობას (დირექტორი დ. ნიკოლაიშვილი, უფროსი აგრონომი და პარტორგანიზაციის მდივანი ტორუა). სოციალისტური შეჯიბრების მონაწილემ ინგირის საბჭოთა მეურნეობამ ივლისში თვიური დავალება 109 პროცენტით შეასრულა — სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცა 31 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. ივლისში მოკრეფილი ფოთლიდან ნაცვლად 64 პროცენტისა პირველი ხარისხის ფოთოლი შეადგენს 73,2 პროცენტს, მესამე ხარისხისა კი 23 პროცენტის ნაცვლად—13,9 პროცენტს.

ჟიურიმ აღნიშნა ლაითურის, ნარაზენისა და წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობების წარმატება. ლაითურის კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ე. გობრონიძე, უფრ. აგრ. ვ. პეიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ლ. გოგოტიშვილი) თვიური გეგმა შეასრულა 103 პროცენტით და უზრუნველჰყო 83 პროცენტი პირველი ხარისხის ნედლეულის ჩაბარება, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 67.5 პროცენტისა. ნარაზენის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ალ. ცხადაია, პარტორგანიზაციის მდივანი გ. კვარაცხელია) მოჰკრიფა გეგმის 102.4 პროცენტი, აქედან 75 პროცენტი პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი, ნაცვლად 56.5 პროცენტისა. წულუკიძის საბჭოთა მეურნეობაში კი (დირექტორი კ. ვაჟარაძე, უფრ. აგრონომი ვ. მაჟარაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ა. ქადარია) თვიური გეგმის გადამეტებით მოკრეფილია 18 ტონა ჩაის ფოთოლი და ივლისში მოკრეფილი ფოთლიდან ნაცვლად 59 პროცენტისა 70,4 პროცენტი პირველი ხარისხისა.

ჟიურიმ აღნიშნა აგრეთვე, რომ ჩაის ფოთლის კრეფის ივლისის გეგმების შესრულებაში დიდად ჩამორჩნენ სალიბაურის (დირექტორი ხ. იორდანიდი, უფრ. აგრონომი ალ. კვაჭაძე, პარტორგანიზაციის მდივანი მ. მგელაძე), ჩაქვის (დირექტორი გ. ნანუკაშვილი, უფრ. აგრონომი სერგეევი, პარტორგანიზაციის მდივანი ვ. კოგზირიძე), მოქვის (დირექტორი ნ. კალანდაძე) და ოჩხამურის (დირექტორი ი. ფუტურიძე, უფრ. აგრონომი გ. ჯინჭარაძე) საბჭოთა მეურნეობები.

გეგმა გადაჭარბებით შესრულდა

ხულოს რაიონის კოლმეურნეობებმა მსხვილფეხა რქიანი საქონლის განვითარების 1942 წლის სახელმწიფო გეგმა 105.5 პროცენტით შეასრულეს.

საქ. კ. პ. (ბ) ხულოს რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი შ. ჭანუყვაძე

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. მამულაძე

სოციალისტური შეჯიბრების შედეგები ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერკავკასიის რკინიგზაზე

ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერკავკასიის რკინიგზაზე შეჯამებულ იქნა საგზაო შეჯიბრების ივლისის შედეგები. მოძრაობის დარგის მუშაკებს შორის პირველობა მოიპოვა ხაშურის განყოფილებამ (უფროსი ამხ. ბერიძე). მას მიეკუთვნა საგზაო გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც ივნისში სამტრედიის განყოფილების მუშაკების ხელში იყო.

წამყვან სადგურთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა ბათუმის საქონლის სადგური (უფროსი ამხ. ხინთიბიძე), რომელმაც ყველა მატარებელი ზუსტად ცხრილის მიხედვით გაგზავნა. საორთქლმავლო დეპოების საგზაო შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია სამტრედიის საორთქლმავლო დეპომ (უფროსი ამხ. ცხვარაძე). ტექნიკური სიჩქარის დარგში დავალება შეასრულეს გადამეტებით. გარეცხვის რემონტში ორთქლმავლების მოცდენა ნორმასთან შედარებით შეამცირეს 4 საათით. ამწევმა საამქრომ გეგმის გადამეტებით შეაკეთა ერთი ორთქლმავალი. ჟიურიმ სამტრედიის მეორთქლმავლეებს მიაკუთვნა გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც ივნისში კიროვაბადის დეპოს ხელში იყო.

საუკეთესო კომპლექსური ბრიგადების სახელწოდება მიენიჭათ ამხ. შენგელიას ბრიგადას (სამტრედიის დეპო) და ამხ. ჩიტიაშვილის ბრიგადას (მორაპნის დეპო). ორივე ბრიგადა უწუნოდ მუშაობდა და ორივემ გარეცხვის რემონტში მიაღწია ორთქლმავლების მოცდენის შემცირებას.

მეელექტრომავლეებში გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა ლ. პ. ბერიას სახელობის ხაშურის ელექტროდეპომ (უფროსი ამხ. კაკაბაძე). (საქდესი).

ფეროშენადნობთა ქარხნის სტახანოველების შეკრება

ზესტაფონი („კომუნისტის“ კორ.). ამ დღეებში ჩატარდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სტახანოველთა შეკრება, რომელმაც მოისმინა ქარხნის დირექტორის მოადგილისა და მთავარი ინჟინრის ამხ. ვლ. მელაძის მოხსენება ქარხანაში საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ.

ამხ. მელაძემ დაწვრილებით ილაპარაკა ქარხნის მიღწევებსა და ნაკლოვანებებზე, იმ ამოცანებზე, რომლებიც ქარხნის კოლექტივის წინაშე დგას სამამულო ომის დღეებში, სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლის შესახებ და სხვ.

მოხსენების შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. შ. თედოხაშვილმა (მარგანეცის საამქროს უფროსი), ლ. ბრეგვაძემ (სადნობ საამქროს ოსტატი), ნ. კაცაძემ (მოლიბდენის საამქროს უფროსი), ელ. წასიძემ (მარგანეცის საამქროს ორდენოსანი ბრიგადირი) და სხვ.

მოკამათენი აღნიშნავდნენ, რომ ზოგიერთ საამქროში ჯერ კიდევ არ არის სათანადოთ მოწყობილი სამუშაო ადგილი, სადნობ საამქროს აკლია კვალიფიციური მდნობელები, ნაკლები ყურადღება ექცევა ღუმელებისა და აგრეგატების მოვლა-გამოყენებას, სუსტია მუშაობა წარმოებაში ახალმოსულებთან და სხვ.

შეკრებამ შეაჯამა აგრეთვე ქარხანაში სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. წარმატებითი მუშაობისათვის ქარხნის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა მარგანეცის საამქროს კოლექტივს.

სტახანოველთა შეკრებამ დასახა სათანადო ღონისძიებანი, რომელთა გატარება უზრუნველჰყოფს მეტი ლითონის გამოდნობას, შეჯიბრებაში გამარჯვებას.

პ. ჭიოკაძე

დეპეშების გაცვლა ი. ბ. სტალინსა და გენ. სიკორსკის მიერ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შეთანხმების წლისთავთან დაკავშირებით

საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის რესპუბლიკის შეთანხმების ხელმოწერის წლისთავთან დაკავშირებით, რაც 30 ივლისს შესრულდა, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა შემდეგი დეპეშა მიიღო პოლონეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ გენერალ სიკორსკისაგან:

„პოლონეთის რესპუბლიკისა და სსრ კავშირის შეთანხმების ხელმოწერის წლისთავთან დაკავშირებით მსურს, ბატონო თავმჯდომარევ, გაგიზიაროთ ჩემი ღრმა რწმენა, რომ შეთანხმება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობის მტკიცე საფუძველს წარმოადგენს და რომ იგი ხელს შეუწყობს საერთაშორისო სამართლიანობის პრინციპების გამარჯვებას ძალმომრეობისა და უუფლებობის ძალებზე.

მჯერა, რომ ამ შეთანხმების განხორციელება უზრუნველჰყოფს სსრ კავშირში მყოფ მრავალ პოლონელ მოქალაქეს დახმარებითა და მზრუნველობით, რაც პოლონეთის მთავრობა ვალდებულია გაუწიოს მათ, და ამით, იარაღის ძმობასთან ერთად, რომელიც პოლონელ ჯარისკაცს, მფრინავსა და მეზღვაურს აერთიანებს სსრ კავშირის არმიასა და ფლოტთან, საფუძველი გახდება მომავალი ჩვენი მეზობლური თანამშრომლობისა გაერთიანებულ ხალხთა ფარგლებში.

სიკორსკი“.

ი. ბ. სტალინმა შემდეგი საპასუხო დეპეშა გაუგზავნა გენერალ სიკორსკის:

„ბატონო პრემიერ-მინისტრო, ვიზიარებ თქვენს რწმენას, რომ საბჭოთა კავშირსა და პოლონეთის რესპუბლიკას შორის ერთი წლის წინათ ხელმოწერილი შეთანხმება საბჭოთა და პოლონელი ხალხების მეგობრული ურთიერთობის მტკიცე საფუძველს წარმოადგენს.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს მთავრობებსა და ხალხებს შორის თანამშრომლობის შემდგომი განვითარება ხელს შეუწყობს საერთო მტერზე მოკავშირე სახელმწიფოთა გამარჯვების დღის მოახლოებას.

ი. სტალინი“.

უკანასკნელი ცნობები

ინდოეთის კონგრესის აღმასკომის ბიუროს რეზოლუცია

ლონდონი, 6 აგვისტო (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ბომბეიდან გადმოგვცემს, დღეს ინდოეთის კონგრესის აღმასკომის ბიურომ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც განმეორებულია მოთხოვნა „ინგლისის ბატონობის ლიკვიდაციისა იმ ანგარიშით, რომ ინდოეთს შეეძლოს გახდეს გაერთიანებული ერების მოკავშირე და ეფექტიანი დახმარება განახორციელოს აგრესორებთან ბრძოლაში“. რეზოლუციაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საჭიროა თავისუფლება მიენიჭოთ აზიის ყველა ხალხებს. იქ ნათქვამია: „თავისუფალი ინდოეთი შეუერთდება მსოფლიო კავშირს, რომელიც გაერთიანებულმა ერებმა ახლავე უნდა შექმნან ომის მთელი დროისათვის“. რეზოლუცია ითვალისწინებს ფედერალური მთავრობის შექმნას მთელი ინდოეთისათვის, ისე რომ პროვინციებს მაქსიმალური ავტონომია ჰქონდეთ. რეზოლუცია „უკანასკნელი მოწოდებით“ მიმართავს ინგლისს და გაერთიანებულ ერებს მიიღონ კონგრესის მოთხოვნა, მაგრამ აღნიშნავს, რომ თუ ინგლისის მთავრობის პოზიცია აიძულებს კონგრესს, იგი მასობრივ ბრძოლას დაიწყებს განდის ხელმძღვანელობით.

აღნიშნული რეზოლუცია წარედგინება ინდოეთის კონგრესის აღმასკომს იმ რეზოლუციის დამატებით, რომელიც მიღებულ იქნა ვარდჰაში 14 ივლისს.

აქტაის სიკვდილი

სტამბოლი, 6 აგვისტო (საქდესი). როგორც სტამბოლის გაზეთები იუწყებიან, სტამბოლში უეცრად გარდაიცვალა თურქეთის ყოფილი ელჩი სსრ კავშირში ალი ჰაიდარ აქტაი.

მასობრივი სიკვდილით დასჯა ბერლინში

ლონდონი, 6 აგვისტო (საქდესი). „ტაიმსის“ კორესპონდენტი გერმანიის საზღვრიდან სწერს, რომ წარსულ კვირაში „სს“-ელებმა 400-მდე კაცი დააპატიმრეს ბერლინში, აქედან 200-ზე მეტი დახვრიტეს.

პოლიტხელ ვოლკოვის გმირობა

ვორონეჟის რაიონში წითელი არმიის გმირული ბრძოლების ისტორიაში ბრწყინვალე ფურცლად დარჩება საარტილერიო დივიზიონის სამხედრო კომისრის პოლიტხელ ვოლკოვის სასახელო გმირობა.

უკვდავი გმირობა მან ყველაზე დაძაბული ბრძოლების დღეებში ჩაიდინა.

დივიზიონის არტილერისტები მსროლელებს ეხმარებოდნენ მოეგერიებინათ გერმანელთა ტანკებისა და ქვეითი ჯარის იერიში. ამ უბანზე მტერმა დიდი ძალები შეაგროვა და ბრძოლის დაძაბულობა სწრაფად მატულობდა. მოწინააღმდეგის ტანკებმა მოახერხეს გაერღვიათ საბჭოთა თავდაცვის ხაზი. ისინი ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობილებებში შეიჭრნენ. ტანკების შემდეგ სწრაფად ეურიდნენ თავს გერმანელთა ქვეითი ჯარს. გვგონებოდათ—მისი ხშირი მწკრივები წალეკავდნენ ქვეგანაყოფის პოზიციებს.

მებრძოლები განსაკუთრებული შეუპოვრობით განაგრძობდნენ მტრის იერიშის მოგერიებას. მათ ნაბიჯიც კი არ გადაუდგამთ უკან. გერმანელები ჩაწვებოდნენ ხოლმე, კვლავ წამოდგებოდნენ და იერიში მიჰქონდათ. ზღუდის დამცველთა რიგები თხელდებოდა, მაგრამ ცეცხლი არ ნელდებოდა.

ამ წუთებში, როცა ბრძოლის ბედი წყდებოდა, როცა ზღუდის ბედი წყდებოდა, პოლიტხელი ვოლკოვი ერთ-ერთი ბატარეის ცეცხლოვან პოზიციაზე იყო. მან შესცვალა დაღუპული მემიზნე.

— მეგობრებო, არ შევარცხვინოთ საბჭოთა არტილერისტების ღირსება, — ეუბნებოდა იგი გუნდის მებრძოლებს.—დავეხმაროთ ჩვენს ქვეითს ჯარს.

გერმანელთა ტანკები წინ მოიწევდნენ.

— გააძლიერეთ ცეცხლი,—მოითხოვდა მეკორექტირე.

ერთი წამის შემდეგ კი მეკორექტირე აღარავინ იყო. ტელეფონი დადუმდა. მეკორექტირე დაიღუპა.

ვოლკოვმა მის სანგრამდე მიირბინა. პოლიტხელმა ვერც კი შეამჩნია, რომ გადარბენის დროს იგი დასჭრეს. ვოლკოვმა ტელეფონის მილი აიღო და გარშემო შემოიწყო ცეცხლგამჩენი ბოთლები და ტანკსაწინააღმდეგო გრანატები.

ახლა იგი პატარა ბორცვზე მოთავსდა ბუჩქებში და ყველაზე ახლო იყო მტერთან. პირდაპირ მისკენ მოდიოდა ფაშისტთა 12 ტანკი. ისინი ახლად იმლებოდნენ, რათა გაემეორებინათ იერიში ჩვენს პოზიციებზე. ტყის პირს გერმანელთა ავტომანქანები უახლოვდებოდნენ, მანქანებიდან ჯარისკაცები ხტებოდნენ და მწყობრში მიდიოდნენ, სცვლიდნენ მოკლულთა და დაჭრილთ.

რა ბევრი საშიშრა და რა ცოტა დროა იმისათვის, რომ კაცმა გაარკვიოს და გაანადგუროს ყველაზე მნიშვნელოვანი. ვოლკოვმა გადასწყვიტა გერმანელთა რეზერვების პარალიზება.

— ტყის პირს შრაპნელი დაუშინეთ, ცეცხლი!—გადასცა მან ბატარეას.

გავიდა ერთი წამი, და გაისმა ზალპი.

ამის შემდეგ ვოლკოვმა ცეცხლის მთელი ძალა გერმანელთა ტანკებისაკენ მიმართა, რომლებმაც ზურგიდან მოიტანეს იერიში ჩვენს ქვეითებზე. ძნელი იყო ცეცხლის კორექტირება, როდესაც მტრის ტანკები სულ რამდენიმე ათეულ მეტრზე იყვნენ ქვეგანაყოფის პოზიციებთან, მაგრამ პოლიტხელი ზუსტად, სრულიად დაუგვიანებლად ატყობინებოდა ცნობებს. გერმანელთა ტანკები შეჩერებულ იქნენ, მაგრამ ხანმოკლე შესვენების შემდეგ კვლავ გამოექანენ წინ. ახლა 12 ტანკი კი აღარ იყო, არამედ მხოლოდ 4. პოლიტხელს ესმოდა მუხლუხების რახრახი, რაც თანდათან მატულობდა.

ვოლკოვმა უკან მიიხედა. საფრებში განაბული იყვნენ საბრძოლოდ გამზადებული ჩვენი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების გუნდები. მეზობელი ბატარეის მებრძოლებს ქვემეხები გამოჰქონდათ სამ განმარტოებულ ხესთან, რათა პირდაპირი დამიზნებით დაეცხოთ ტანკებისათვის. ვოლკოვს ცალ ხელში ტელეფონის მილი ეჭირა, ცალში კი გრანატები. ტანკები თითქმის ზედ მიადგნენ. ვოლკოვმა წინა ტანკს გრანატი სტყორცნა, სანგრის ფსკერს გაეკრა, რათა თავიდან აეცდინა ნამსხვრევები და კვლავ მზად იყო ბრძოლისათვის. ახლა გერმანელმა ტანკისტებმა გაარჩიეს ეს ბორცვი ბუჩქებში. სამი მანქანა მისკენ მიტრიალდა. ვოლკოვმა ცეცხლი წაუკიდა ერთ მათგანს, მაგრამ იმავე წამს სასიკვდილოდ დაიჭრა. ორი ტანკი მისკენ მიხოხავდა. და მაშინ ბატარეაზე გაიგონეს პოლიტხელის უკანასკნელი სიტყვები:

— მშვიდობით! შური იძიეთ ჩემთვის! დასცხეთ გერმანელებს!

მას სული ეხუთებოდა. ვოლკოვმა მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა და დასძინა:

— ცეცხლი ჩემსკენ!

ეს ორი ზალპი მარჯვე და გამანადგურებელი იყო. გერმანელთა ტანკების მუხლუხები ვერ შეეხნენ დაღუპული მეომრის სხეულს. ორივე მანქანა დაიმსხვრა.

გერმანელთა იერიში ჩაიფუშა მაშინ, როდესაც ფაშისტები წარმატების მიღწევას აპირებდნენ. მსროლელებმა უკუაქციეს ჰიტლერელთა ქვეითი ჯარი და მტრის ტანკები.

მოქმედი არმია, 6 აგვისტო (საქდესის სპეცკორესპონდენტი).

ვ. კრილოვი

მოსკოვს ჩამოვიდა გენერალ-მაიორი ფ. ბრედლი

ვაშინგტონიდან მოსკოვს ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების არმიის გენერალ-მაიორი ფოლეტ ბრედლი, რომელმაც სათანადო საბჭოთა ორგანოებთან უნდა განიხილოს ამერიკის შეერთებული შტატებიდან სსრ კავშირში საჭურვლისა და სამხედრო მასალების შემოტანასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
6 აგვისტოს დილის ცნობა

5 აგვისტოს ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან კლეტსკაიასა და კოტელნიკოვოს რაიონებში, ბელაია გლინას სამხრეთით და კუშჩევსკაიას სამხრეთით.

ფრონტის სხვა უბნებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

კლეტსკაიას რაიონში ჩვენმა ჯარებმა მოწინააღმდეგის მთელი რიგი იერიშები მოიგერიეს და მტკიცედ ინარჩუნებდნენ დაკავებულ ზღუდეებს. დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლაში ნ ნაწილმა მოსპო გერმანელთა ტანკი, 3 ქვემეხი და 300-მდე ჰიტლერელი. ჩვენმა ტანკისტებმა ერთ-ერთ უბანზე რეიდი მოახდინეს მტრის ზურგში და გაანადგურეს მოწინააღმდეგის ავტოკოლონა ჯარიანად და საომარ მასალიანად. მოვსპეთ 38 ავტომანქანა და გავჟლიტეთ სულ ცოტა 250 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ბელაია გლინას სამხრეთით მდებარე რაიონში განუწყვეტელი სასტიკი ბრძოლები სწარმოებდა მოწინააღმდეგის შემომტევ სატანკო და მოტოქვეითი ნაწილებთან. ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით გადმოინაცვლეს ახალ ზღუდეებზე. კუშჩევსკაიას სამხრეთით ჩვენმა ტანკსაწინააღმდეგო არტილერიამ და ჯავშანმტვრეველებმა მოსპეს გერმანელთა 8 ტანკი, 4 ჯავშნიანი მანქანა და 21 ავტომანქანა. სხვა უბანზე ყუბანის კაზაკები ღამით დაესხნენ თავს დასახლებულ პუნქტს, რომელიც ახლახან დაიკავეს ჰიტლერელებმა. გულადმა ცხენოსნებმა მოწინააღმდეგის 600-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი აკუწეს.

* * *

ბრიანსკის ფრონტზე შეტაკებები ხდებოდა მტრის მცირე ჯგუფებთან. ერთი ჩვენი ნაწილის მებრძოლებმა იერიში მიიტანეს მტერზე და მის მიერ დაკავებულ დასახლებულ პუნქტში შეიჭრნენ. ქუჩაში ბრძოლის დროს გავწყვიტეთ მტრის 100-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ღამით მზვერავები ამხ. ხოლოდნის ხელმძღვანელობით გერმანელთა გამაგრებულ ქვანძს მიეპარნენ. მზვერავებმა გრანატებით ააფეთქეს 2 მიწური საცეცხლე წერტი, 4 ბლინდაჟი და მოსპეს 40 ჰიტლერელი.

* * *

საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ 20 ივლისს აღნიშნა ამხ. დივიჩენკოს მეთაურობით მოქმედი თვითმფრინავის ეკიპაჟის გმირობა. ოპერაციის მონაწილე მფრინავებმა ხედავდნენ, თუ როგორ გაემართა გერმანელთა საწვავიანი ავტოცისტერნების კოლონისაკენ ამხ. დივიჩენკოს ალმოდებული თვითმფრინავი და ფიქრობდნენ, რომ ეკიპაჟი დაიღუპა. დღეს მიღებულ იქნა ახალი ცნობები იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწია თვითმფრინავის ეკიპაჟს: მტრის ავტოცისტერნებისათვის სროლის ატეხისა და ცეცხლის წაკიდების შემდეგ ამხ. დივიჩენკოს ალმოდებულმა თვითმფრინავმა კიდევ 2 კილომეტრი გაიარა და მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე დაეშვა. თვითმფრინავი დაიწვა. მფრინავებმა ძლიერი დამწვრობა მიიღეს. მსროლელი-რადისტი ამხ. ეშოვი დაიღუპა. ამხ. დივიჩენკომ, შტურმანმა ჟურავლიოვმა და მსროლელმა-რადისტმა მისიკომ ბოლოსდაბოლოს ჩვენი ჯარების ვანლაგებამდე მოაღწიეს. ამჟამად ისინი ჰოსპიტალში იმყოფებიან. საბჭოთა პატრიოტებმა განაცხადეს: „ჩვენ სიკვდილის კლანჭებში ვიყავით, მაგრამ ცოცხალი დავრჩით. ჩვენ კვლავ ვიბრძოლებთ საზიზღარი მტრის წინააღმდეგ. ვიბრძოლებთ ჰიტლერელების წინააღმდეგ მანამდე, სანამ ჩვენს ძარღვებში სისხლი სჩქეფს. ჩვენი სიცოცხლე სამშობლოს ეკუთვნის!"

* * *

პარტიზანული რაზმი, რომელიც ბელორუსიის გერმანელთა მიერ ოკუპირებულ ერთ-ერთ რაიონში მოქმედებს, თავს დაესხა რკინიგზის დიდ სადგურს. ბრძოლაში, რომელმაც დაახლოებით ერთ საათს გასტანა, პარტიზანებმა 40 ოკუპანტი და რამდენიმე ათეული პოლიციელი გასწყვიტეს. საბჭოთა პატრიოტებმა გადასწვეს ვაგზალი, კომენდატურის შენობა და 4 სალონ-ვაგონი, რომლებშიც გერმანელი ოფიცრები ცხოვრობდნენ, 42 საქონლის ვაგონი ტვირთიანად და ააფეთქეს რკინიგზის ისრები.

* * *

გერმანიის 35-ე ქვეითი დივიზიის III-ე პოლკის ჯარისკაცმა ვილჰელმ ბ-მ, რომელიც ტყვედ დაგვნებდა, განაცხადა: „აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანიის ჯარების ზარალის შესახებ გერმანიის სარდლობის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური ცნობები მოსახლეობას აღიზიანებს. არავის არა სჯერა ეს ციფრები. ასეთი უნდობლობის საფუძველი მეტად ბევრია. გერმანიის და მის მიერ ოკუპირებული ქვეყნების ყველა ჰოსპიტალი გაჭედილია დაჭრილებით. ყოველი პატარა დაბის ათობით ოჯახს ყოველდღე მისდის ცნობა მათი ახლობლებისა და ნათესავების დაღუპვის შესახებ. მე ფილინგენიდან ვარ. ამ პატარა ქალაქის მოსახლეობა 8.000 კაცს შეადგენდა. ამ ქალაქის მცხოვრებთაგან 350 კაცი რუსეთში მოჰკლეს. ბევრი დასჭრეს, ზოგნი ხეიბრებად დაბრუნდნენ. ხოლო ვინ მოსთვლის რამდენი დაიკარგა უკვალოდ? ომმა ზოგიერთებს თვალი აუხილა და დაანახვა, თუ რა მოაქვს ჰიტლერულ რეჟიმს გერმანელი ხალხისათვის. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრს ეშინია აშკარად სთქვას რაიმე. ჰიტლერის დასაყრდენს წარმოადგენენ „სს"-ელები და მოიერიშენი. ესენი არიან გულგრილი მკვლელები, რომლებიც დღეს რუსებს, პოლონელებსა და ჩეხებს ხოცავენ და მზად არიან მთელი მსოფლიო მორწყონ სისხლით. ისინი უნდა მოსპობილ იქნან, რადგან ისინი ჯალათები არიან და არა ადამიანები".

* * *

იუგოსლაველი პარტიზანები წარმატებით იბრძვიან იტალიელ და გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ პატრიოტებმა ხორვატიაში დაიკავეს ქალაქი კლიუჩი და რამდენიმე მახლობელი სოფელი. გაჟლიტეს 70 და დასჭრეს 100-ზე მეტი იტალიელი ჯარისკაცი. ხელთ იგდეს 100 შაშხანა, 3 ნაღმსატყორცნი, 300 ნაღმი, 5 ათასი ვაზნა და სხვა საჭურველი. გრმიჩის მთასთან მომხდარ ბრძოლაში პარტიზანებმა მოიგერიეს ოკუპანტების იერიში და დიდი ზარალი მიაყენეს მათ. პარტიზანების მხარეზე მოქმედებდა 2 ბომბდამშენი „იუნკერს-88", რომლებიც პარტიზანებმა ხელთ იგდეს გერმანელთა აეროდრომის განადგურების დროს.

6 აგვისტოს საღამოს ცნობა

6 აგვისტოს განმავლობაში ჩვენი ჯარები სასტიკ ბრძოლებს ეწეოდნენ კლეტსკაიას და კოტელნიკოვოს რაიონებში, ბელაია გლინას სამხრეთით და კუშჩევსკაიას სამხრეთით.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

5 აგვისტოს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 50-მდე ტანკი, 5 ჯავშნიანი მანქანა, 400-მდე ავტომანქანა ჯარიანად და ტვირთიანად, 50 საზიდარი საომარი მასალა, ააფეთქეს საომარი მასალის 4 საწყობი, ჩაახშეს საველე და საზენიტო არტილერიის 10 ბატარეის ცეცხლი, დაამსხვრიეს რკინიგზის შემადგენლობა, გაფანტეს და ნაწილობრივ გაჟლიტეს მოწინააღმდეგის 3 ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

კლეტსკაიას რაიონში და ამ პუნქტის სამხრეთით შეუპოვარი ბრძოლები გრძელდებოდა. ცალკეულ უბნებზე ჩვენი ჯარები კონტრდარტყმებს ახორციელებდნენ მტრის ჯარების წინააღმდეგ. გერმანელთა ქვეითი ჯარის პოლკმა 30 ტანკის დახმარებით იერიში მოიტანა ერთ ჩვენს ნაწილზე. საბჭოთა ჯარებმა ფლანგებიდან დაშენილი ტყვიამფრქვევის ცეცხლით მოსწყვიტეს მტრის ქვეითი ჯარი ტანკებს. არტილერიის ცეცხლით მოსპობილ იქნა გერმანელთა 9 ტანკი. ამ დროს ჩვენი მებრძოლები კონტრიერიშზე გადავიდნენ, რომლის შედეგად ჰიტლერელებმა უკან დაიხიეს. ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგემ დასტოვა 550 მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი. კლეტსკაიას სამხრეთით № ნაწილმა სატანკო ქვეგანაყოფთან ურთიერთმოქმედებით უკან დაახევინა მოწინააღმდეგეს და უფრო ხელსაყრელი ზღუდეები დაიკავა. ხელთ ვიგდეთ ტყვეები.

* * *

კოტელნიკოვოს რაიონში ერთ ვიწრო უბანზე ჰიტლერელებმა რამდენიმე სასტიკი სატანკო იერიში მოაწყეს. მოწინააღმდეგემ მოახერხა სოლივით შემოჭრილიყო ჩვენს თავდაცვაში. სასტიკი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ნაწილებმა ახალ თავდაცვით ზღუდეზე გადმოინაცვლეს. ამ ბრძოლაში მოსპობილ იქნა გერმანელთა 10 ტანკი და მოწინააღმდეგის 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ბელაია გლინის სამხრეთით მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები დაძაბულ მოგერიებით ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის შემომტევ ტანკებთან და მოტოქვეით ჯართან. მთელ რიგ უბნებზე ჩვენმა ნაწილებმა ბრძოლით დაიხიეს ახალ ზღუდეებზე. გერმანელები ცდილობდნენ საჰაერო დესანტი გადმოესხათ ჩვენი ჯარების ზურგში. ერთ-ერთ პუნქტში დაეშვა 9 სატრანსპორტო თვითმფრინავი „იუნკერს-52" მოწინააღმდეგის მეავტომატეებიანად. საბჭოთა მფრინავებმა დაუყოვნებლივ მიიტანეს იერიში ძირდასაშვებ მოედანზე. დასწვეს გერმანელთა 6 და დააზიანეს 3 თვითმფრინავი. დესანტის ნაშთები მოსპეს ან ტყვედ წამოიყვანეს სახმელეთო ჯარებმა. კუშჩევსკაიას სამხრეთით მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები მტრის იერიშებს იგერიებდნენ. დონისა და ყუბანის კაზაკები რამდენჯერმე ბრძოლით შეიჭრნენ გერმანელ ფაშისტთა ჯარების საბრძოლო წყობილებებში და დიდი ზარალი მიაყენეს მათ.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე მოქმედი № ნაწილის სნაიპერებმა ერთ დღეს გაჟლიტეს 79 ჰიტლერელი.

* * *

ორიოლის პარტიზანებმა ამ უკანასკნელ დღეებში გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა რკინიგზის ეშელონების რამდენიმე მარცხი მოაწყეს. ერთი სადგურის მახლობლად პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადააგდეს ტანკებით, ავტომანქანებითა და ტრაქტორებით დატვირთული 40 ვაგონი და პლატფორმა. ყველა გერმანელი ჯარისკაცი, რომლებიც ამ ეშელონს ახლდნენ, მოსპობილ იქნა. სხვა ადგილას პარტიზანებმა სამხედრო მატარებელი ააფეთქეს. მარცხის შედეგად დახოცილი და დაჭრილია მრავალი ჰიტლერელი.

* * *

ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ტყვედ დაგვნებდა 60 გერმანელი ჯარისკაცი. ტყვე ობერ-ფელდფებელმა ალოიზ უ-მ განაცხადა: „ჩვენს ასეულში 180 კაცი ირიცხებოდა, მათგან 120 კაცი მოჰკლეს და დასჭრეს ბრძოლებში. უკანასკნელი ბრძოლის წინადღით ასეულის მეთაურმა ლეიტენანტმა შუბერტმა გვიბრძანა—რადაც უნდა დაგვჯდომოდა, ყოველი მსხვერპლის მიუხედავად, მოგვეგერიებინა რუსების იერიში. მაგრამ გამოჩნდა თუ არა რუსების ტანკები, შუბერტი გაიქცა. ჩვენ საშუალება გვქონდა თავი დაგვეცვა ან დაგვეტოვებინა დაკავებული პოზიციები და უკან დაგვეხია. მაგრამ გადავწყვიტეთ, კმარა რაც ვიბრძოლეთ. ტანკების მოახლოებისას გაიცა ბრძანება: „ნუ ისვრით, ხელები ასწიეთ და გამოდით". მთელი ასეული 60 ჯარისკაცის რაოდენობით ტყვედ დანებდა. ჩვენ ვურჩევთ ჩვენს ამხანაგებს ნუ გასწევენ სიცოცხლის რისკს".

* * *

გერმანელი ფაშისტი არამზადები ბატონყმობას ამყარებენ დაპყრობილ საბჭოთა რაიონებში. პოლტავის ოლქის სოფელ ალექსანდროვკაში გერმანელმა კომენდანტმა ყველა კოლმეურნეს დაავალა კვირაში სამ-სამი დღე იმუშაონ გერმანელი მემამულის შვარცის მეურნეობაში. ამ ახლადმოვლენილ ბარონს პოლიციელთა რაზმი ჰყავს, რომლებიც ძალით ერეკებიან გლეხებს სამუშაოზე. ქალებს ურემში აბამენ და ძნებს აზიდვინებენ მინდვრიდან კალოზე.

* * *

პარიზის გარეუბნის საავიაციო ქარხანაში გაფიცვამ იფეთქა. საფრანგეთის მუშებმა მოითხოვეს ქარხნიდან მოეცილებინათ ყველა გერმანელი ოსტატი. ადმინისტრაციამ უარი სთქვა მოლაპარაკება დაეწყო გაფიცულებთან. „სს"-ელებმა დააპატიმრეს და საკონცენტრაციო ბანაკში წაიყვანეს 400 ფრანგი სასტიკი დევნის მიუხედავად, ჰიტლერელებმა ვერ გასტეხეს მუშათა ნებისყოფა. გაფიცვა გრძელდება.

რუმინეთში გამწვავდა შინაპოლიტიკური სიძნელეები

სტამბოლი, 6 აგვისტო (საკდესი). სტამბოლის უცხოელთა კომპეტენტურ წრეებში აცხადებენ, რომ რუმინეთის არმია 1941 წლის ზამთრისათვის საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე არაჩვეულებრივად დიდი ზარალის შედეგად დეზორგანიზებული და მნიშვნელოვან წილად მწყობრიდან გამოყვანილი აღმოჩნდა. ომის განმავლობაში არმიას ორჯერ შეუცვალეს წყობილება მშვიდობიან დროს რუმინეთის არმია 25 დივიზიისაგან შესდგებოდა. ომის პირველი 5 თვის განმავლობაში დაიკარგა ან დეზორგანიზებულ იქნა 20 დივიზია. ამა წლის გაზაფხულზე ჰიტლერის ზეგავლენით ანტონესკუმ მთელი რიგი ახალი მობილიზაცია მოაწყო. სევასტოპოლთან და ფრონტის სხვა უბნებზე ბრძოლის შემდეგ გერმანიის სარდლობამ დამატებითი მობილიზაციების მოწყობა მოსთხოვა ანტონესკუს.

ამჟამად ცვლილება შეიტანეს ჯარში გაწვევის კანონში. ეს ცვლილება მნიშვნელოვნად ამცირებს იმ პირთა რაოდენობას, რომელნიც სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად არიან ცნობილნი და სხვ.

სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, ხალხსა და არმიაში ძლიერდება ომის საწინააღმდეგო განწყობილება. თვით რუმინული გაზეთების ცნობით, ივნისში ტრიბუნალებმა მსჯავრი დასდეს რამდენიმე ასეულ რუმინელს. „რომელთაც პატრიოტიზმის უქონლობა გამოიჩინეს". ანტონესკუს ხროვის ღონისძიებათა საბოტაჟი ძლიერდება როგორც სამრეწველო საწარმოებში, ისე სოფლებშიც.

რუმინეთის მთავრობა იძულებულია განსაკუთრებული „სამხედრო ზედამხედველები" დანიშნოს ყველა საწარმოში. მათ შეუზღუდველი რწმუნებულება ექნებათ, თვით იმის უფლებამდე, რომ დაითხოვონ და დააპატიმრონ მუშები, გადააყენონ საწარმოს დირექცია და დროებით დახურონ ფაბრიკები ან ქარხნები.

სოფლებში ივნისის დამლევს შემოღებულია ერთიერთ თავდებობის სისტემა. სპეციალური კანონით შექმნილია ეგრეთწოდებული „სოფლის შრომითი თემები", რომელთა ამოცანაა „გლეხების ყოფაქცევისა და მათი მუშაობის კონტროლი". იმავდროულად ანტონესკუს მთავრობა აძლიერებს სოფლის ჟანდარმერიის რაზმებს. თემების შექმნა და ჟანდარმერიის განმტკიცება მოსავლის აღებისა და მომავალი საშემოდგომო თესვის მომენტში „გააადვილებს მთავრობის კონტროლს სოფლის მეურნეობაში", ე. ი. შესაძლებელი გახდება, რომ პირწმინდად გაძარცვონ გლეხები და წაართვან მათ თავიანთი შრომის პროდუქტები.

პარტიული ცხოვრება
პოლიტიკური აგიტაცია კოლმეურნეობებში

ოჩამჩირის რაიონის მთელმა რიგმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა და აგიტკოლექტივებმა საომარი ვითარების შესაბამისად გარდაქმნეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა კოლმეურნეობებში.

კარგი მუშაობის მაგალითი მოგვცა სოფ. ილორის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის აგიტკოლექტივმა, რომლის ხელმძღვანელი ამხ. ი. ხოჭავა სისტემატურად ატარებს აგიტკოლექტივის სემინარს, იწვევს აგიტატორთა თათბირებს, ამოწმებს საგიტაციო უბნების მუშაობას და კონკრეტულ რჩევა-დარიგებას აძლევს აგიტატორებს შემჩნეული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. აგიტატორები ტ. ღურწკაია, თ. ხოჩავა, პ. აბლოთია და სხვები თავიანთ საგიტაციო საუბრებს მჭიდროდ უკავშირებენ გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის საკითხებს. მათს საგიტაციო მუშაობას საფუძვლად უდევს დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მოწოდება — ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მიეცეთ სულ უფრო და უფრო მეტი პური, ხორცი, ნედლეული მრეწველობისათვის. აგიტაციას ხალისით ესწრებიან კოლმეურნეები და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საუბრებში. აღსანიშნავია, რომ სოფ. ილორის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა მოწინავეა რაიონში.

ომიანობის დროის შესაფერისად მუშაობს სოფ. ოხურეის აგიტკოლექტივი. ამავე სოფლის კოლმეურნეობა „წითელი ოხურეის" № 4 ბრიგადაში საგიტაციო მუშაობას ეწევა ორდენოსანი მასწავლებელი, პარტიის წევრი ამხ. ოლია ეზუგბაია. მან კოლმეურნეებს გააცნო ნოვოსიბირსკის ოლქის ჩისტოოზერნაიას კოლმეურნეთა მიმართვა უხვი სამხედრო მოსავლის მიღებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ. კოლმეურნეებმა ახალი ვალდებულებები აიღეს, გააჩაღეს თავდადებული მუშაობა მისი განაღდებისათვის. ბრიგადამ ჩაის კრეფის ივნისის გეგმა 7 დღეში შეასრულა.

საგიტაციო მუშაობა გარდაქმნეს კოლმეურნეობა „პირველი ბედის" აგიტატორებმა. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი, იგივე პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ი. შაკაია სისტემატურად ამოწმებს აგიტატორთა მუშაობას, ატარებს მათ თათბირებს და დროულად აყენებს პარტიულ კრებაზე საგიტაციო მუშაობის საკითხებს. აგიტატორები ყოველდღიურად აცნობენ კოლმეურნეებს მასალებს სამამულო ომის მიმდინარეობაზე, პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს, მოწინავე სტახანოველთა გამოცდილებას. ბრიგადაში გამოდის ხუთდღიური საველე გაზეთები, რომლებშიც აშუქებენ მოწინავეთა მიღწევებს და აკრიტიკებენ ჩამორჩენილებს. აგიტატორები ი. ჯინჯოლია, ს. შაკაია და სხვები ყოველდღიურ საგიტაციო საქმიანობასთან ერთად სათანადო ყურადღებას უთმობენ კოლმეურნეთა ნამუშევრის ხარისხიანობას, ეხმარებიან ბრიგადირებს შრომადღეების აღრიცხვაში. თითოეულმა აგიტატორმა კარგად იცის წინადღით ჩატარებული მუშაობის შედეგები, ამა თუ იმ ბრიგადამ დღიური დავალება რამდენი პროცენტით შეასრულა, რომელი კოლმეურნე იყო მოწინავე და რომელი ჩამორჩა, როგორ სრულდება კოლმეურნეობის გეგმები და სხვ.

ძალზე კარგად არის დაყენებული საგიტაციო მუშაობა სოფ. სომხური ათარის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში (აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ამხ. ელექჩიანი), სოფ. აფხაზური ათარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ამხ. მაერიძე), სოფ. ცოქვეში კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში (აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ამხ. ჩანბალია).

მაგრამ ზოგიერთ კოლმეურნეობაში საგიტაციო მუშაობა სათანადო დონეზე ვერა დგას. სოფ. აძუბჟის კოლმეურნეობებში სუსტად არის დაყენებული საგიტაციო მუშაობა. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი კონჯვა სრულ უმოქმედობას იჩენს. აგიტატორები საუბრებს იშვიათად და ისიც დაბალი ხარისხით ატარებენ. საუბრები დაკავშირებული არ არის კოლმეურნეობის ყოველდღიურ საქმიანობასთან. მსგავს შემთხვევებს ადგილი აქვს სოფ. კოჩარისა და სოფ. რეკას კოლმეურნეობებშიც. აღნიშნული კოლმეურნეობების პარტორგანიზაციებს ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ, რათა უახლოეს დროში მიაღწიონ საგიტაციო მუშაობის გაუმჯობესებას.

მთელი საგიტაციო-მასობრივი მუშაობა დიდი სამამულო ომის ინტერესებს, თავდაცვის ამოცანებს, ვერაგი და მუხანათი მტრის —პირსისხლიანი ფაშიზმის მოსპობის ამოცანებს უნდა დაუმორჩილოთ.

თ. აქუბარდია

საქ. კ. პ. (ბ) ოჩამჩირის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

კომკავშირელი კოლმეურნეები უხვი მოსავლისათვის იბრძვიან

წულუკიძის რაიონის სოფელ ახალშენის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდობა თავდადებით იბრძვის დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მოწოდების შესასრულებლად — მისცეს ფრონტსა და ქვეყანას სულ უფრო და უფრო მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, გმირული შრომით დაეხმაროს წითელ არმიას შემოსეული ვერაგი მტრის განადგურების საქმეში.

მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეთაგანია რაიონში. ჯერ კიდევ ივნისის ბოლოს დაამთავრა კოლმეურნეობამ სიმინდის მესამე თოხნა, დამთავრებულია ჩაის პლანტაციების თოხნაც და ამჟამად გაცხოველებით მიმდინარეობს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა. კოლმეურნეობას გეგმების გადაჭარბებით და დროულად შესრულებაში დიდ დახმარებას უწევს კოლმეურნე ახალგაზრდობა.

მახარაძის სახელობის კოლმეურნეობიდან ბევრი ახალგაზრდა ჩადგა წითელი არმიის რიგებში და გმირულად იბრძვის სამამულო ომის ფრონტებზე საყვარელი საბჭოთა სამშობლოს დასაცავად. სამშობლოს ინტერესებისათვის, მისი დაცვისათვის იბრძვიან აგრეთვე სოფლად დარჩენილი ახალგაზრდები, რომელთა შორის გმირული შრომის მაგალითს იძლევიან კომკავშირელი კოლმეურნეები. საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაცია 17 წევრს აერთიანებს და ჩვიდმეტივე სანიმუშოდ მუშაობს კოლმეურნეობაში. კომკავშირელ ან. ბალახაშვილს უკვე გამომუშავებული აქვს 320 შრომადღე, ვალ. მღებრიშვილს—200 შრომადღე, სტეფანე კიკნაძეს—160, ნატა კიკნაძეს—150, კატო მღებრიშვილს—150, ვარდიკო მაისურაძეს—140 შრომადღე და სხვ.

საკოლმეურნეო მინდვრებზე დაუღალავად შრომობენ ჩვენი კოლმეურნეობის მოსწავლე ახალგაზრდები. მოსწავლეთა შორის განსაკუთრებით ისახელა თავი 9 წლის იაშო მამულაშვილმა. პატარა იაშო დღიურად 25-30 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს ჰკრეფს და მისი მოკრეფილი ჩაის ფოთოლი მუდამ პირველი ხარისხისაა.

სოფელ ახალშენის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდობას კარგად აქვს შეგნებული, რომ ზურგში ჩვენი ნაყოფიერი მუშაობა ეხმარება ფრონტს ფაშისტი ბარბაროსების განადგურებაში. ამიტომ ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა: კიდევ უფრო ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, კიდევ უფრო მეტი თავდადებით ვიმუშაოთ საკოლმეურნეო მინდვრებზე, მივცეთ სამშობლოს უხვი მოსავალი და ამით ხელი შევუწყოთ სახელოვან წითელ არმიას კაციჭამია ჰიტლერის ურდოებზე გამარჯვების მოპოვებაში.

ვ. კუპრაშვილი

წულუკიძის რაიონის სოფელ ახალშენის მახარაძის სახ. კოლმეურნეობასთან არსებული კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი.

ინგლისში შესდგა მიტინგები მეორე ფრონტის დაუყოვნებლივ გახსნის სასარგებლოდ

ლონდონი, 6 აგვისტო (საკდესი). ინგლისის უდიდეს ქალაქებში შესდგა ახალი მასობრივი მიტინგები, რომელთა მონაწილენი მოითხოვდნენ მეორე ფრონტის რაც შეიძლება მალე გახსნას. მანჩესტერში მიტინგს 5.000-მდე კაცი დაესწრო.

ბირმინჰემში მიტინგზე მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც მოითხოვენ მთავრობის მხრივ დაუყოვნებლივ მოქმედებას და გამოსთქვამენ აზრს, რომ მეორე ფრონტის გახსნა ფაშიზმის განადგურების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს.

ლონდონის ერთ-ერთ რაიონში შესდგა ნეპირის საავიაციო საწარმოების საფაბრიკო მამასახლისთა კომიტეტის მიერ მოწვეული კონფერენცია. კონფერენციამ განიხილა მეორე ფრონტის საკითხი. კონფერენციის დელეგატებმა აირჩიეს კომიტეტი, რომელიც 7 უმნიშვნელოვანესი საწარმოს წარმომადგენლებისაგან შესდგება, რათა მეორე ფრონტის გახსნის შესახებ მოთხოვნის მასობრივი მხარდაჭერა მოეწყოს.

ჩრდილო-დასავლეთ ინგლისში, ნეპირის საწარმოში გაიმართა ორი დიდი მიტინგი, რომლებიც საფაბრიკო მამასახლისებმა მოაწყეს ადმინისტრაციასთან ერთად. ამ მიტინგებს 6.000-ზე მეტი კაცი დაესწრო. ორივე მიტინგმა ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია: „მიტინგის მონაწილეთა მტკიცედ სჯერათ, რომ მეორე ფრონტის დაუყოვნებლივ გახსნა გამარჯვების უმოკლეს გზას წარმოადგენს".

ამერიკის პროფკავშირები მეორე ფრონტის გახსნის საჭიროების შესახებ

ნიუ-იორკი, 6 აგვისტო (საკდესი). როგორც გაზეთები იუწყებიან, ქალაქ ბოსტონის საწარმოო პროფკავშირების კონგრესში და ამერიკის შრომის ფედერაციაში შემავალ პროფკავშირთა 50 ხელმძღვანელმა პრეზიდენტ რუზველტს გაუგზავნა ერთობლივი დეპეშა, რომელშიც დაჟინებით მოითხოვენ, რომ დაუყოვნებლივ გაიხსნას მეორე ფრონტი ევროპაში. დეპეშაში ნათქვამია: „ჩვენი ქვეყანა და გაერთიანებული ერები სერიოზული საფრთხის წინაშე არიან. ამ საფრთხის აცილება და მრავალი წლის მანძილზე ომის განგრძობის თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ევროპაში დაუყოვნებლივ გაიხსნება მეორე ფრონტი".

იმ ცნობის თანახმად, რომელსაც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ჩიკაგოდან გადმოგვცემს, საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის საავტომობილო და საავიაციო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ეროვნულმა ყრილობამ მოიწონა რეზოლუცია, რომელიც რუზველტს და გაერთიანებული ქვეყნების სხვა ხელმძღვანელთ მოუწოდებს „გასცენ საჭირო განკარგულება, რათა დაუყოვნებლივ იქნას დაწყებული დასავლეთ ევროპის ფრონტის გახსნის სამზადისი". ათასზე მეტ დელეგატთაგან, რომლებიც ყრილობის მუშაობაში იღებდნენ მონაწილეობას, რეზოლუციის წინააღმდეგ მხოლოდ 9 კაცმა მისცა ხმა.

ინგლის-გერმანიის ომი ჰაერში

ლონდონი, 6 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 5 აგვისტოს ღამით ინგლისის ავიაცია თავს დაესხა გერმანიის ტერიტორიას.

4 და 5 აგვისტოს მტრის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ინგლისის სამხრეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს. მთელ რიგ პუნქტებში ჩამოყრილია ბომბები, რასაც ერთგვარი ზარალი მოჰყვა. არის მსხვერპლი.

5 აგვისტოს ღამით მტრის თვითმფრინავები ინგლისში გამოჩნდნენ. აღმოსავლეთ ინგლისის მთელი რიგი პუნქტები დაბომბეს და ტყვიამფრქვევის სროლა აუტეხეს. ნგრევა და მსხვერპლი არ არის.

ინგლისის ავიაცია თავს დაესხა რურს

ლონდონი, 6 აგვისტო (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 5 აგვისტოს ღამით ბომბდამშენი ავიაციის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს რურის მთელ რიგ ობიექტებზე. 5 ბომბდამშენი თავიანთ ბაზებში არ დაბრუნებულა.

ბრძოლები იუგოსლავიაში

ჟენევა, 9 აგვისტო (საკდესი). იუგოსლავიის სხვადასხვა რაიონებში დიდი ბრძოლები გრძელდება პარტიზანულ რაზმებსა და იტალიელ-გერმანელ ოკუპანტებს შორის. გაერთიანებულ პარტიზანულ რაზმთა ჯგუფმა პოლხოვ გრადეცის ახლოს გაანადგურა ლიუბლიანიდან ჩასული გერმანელთა კოლონა. მოსპობილია რამდენიმე ასეული ჰიტლერელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდეს რამდენიმე ავტომანქანა სამხედრო ტვირთიანად.

სლოვენიაში მოქმედ პარტიზანულ რაზმებს კვლავ უკავიათ მათ მიერ განთავისუფლებული ქალაქი ჟუცემბერკი და მისი მომიჯნავე ტერიტორია. გორენის და შტაიერის ოლქებში განთავისუფლებულია მთელი რიგი სოფლები. აგრეთვე სამრეწველო ქალაქი ტრეიჩი. ლიუბლიანის კლდეკარში გერმანელთა დიდი რაზმი პარტიზანთა საფარში მოჰყვა, სადაც იგი მთლიანად გაანადგურეს.

სავის და პოლიანის ველების რაიონში მოქმედი რამდენიმე პარტიზანული რაზმი წარმატებით ანადგურებს გერმანელთა სადამსჯელო კოლონებს.

პარტიზანთა რიგებს განუწყვეტლივ ემატება გლეხების, მუშებისა და ინტელიგენციის ახალ-ახალი ჯგუფები.

ბრძოლა გრძელდება ცენტრალური ბოსნიის, ბოსანსკაია კრაინისა და დალმაციის მთელ რიგ რაიონებში.

ამერიკის პრესა ინდოეთის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ

ნიუ-იორკი, 6 აგვისტო (საკდესი). ამერიკის პრესა დიდად არის შეშფოთებული ინდოეთის პოლიტიკური კრიზისის გამო. გავლენიანი გაზეთები მკვეთრად აკრიტიკებენ განდის და ნერუს პოლიტიკას, ვინაიდან ფიქრობენ, რომ ეს პოლიტიკა იაპონიისათვის არის სასარგებლო.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" მოწინავე სტატიაში აღნიშნულია, რომ შესაძლებელია ინგლისმა ნაკლები გააკეთა, ვიდრე შეეძლო, რათა მომავალში თავისუფლება მიენიჭებინა ინდოეთისათვის. მიუხედავად ამისა, ახლანდელი კრიზისის მომენტში „ინგლისს არ შეუძლია ინდოეთის ანარქიას შეურიგდეს, მაშინ როდესაც თვით ინგლისის ბედი სწყდება". ინდოეთის ამერიკელ მეგობრებს იმედი აქვთ, რომ კონგრესი უარჰყოფს კონგრესის აღმასკომის ბიუროს რეზოლუციას.

დაიცავით ბავშვები კუჭ-ნაწლავის დაავადებებისაგან

კუჭ-ნაწლავის დაავადებათა თავიდან აცილება სახელმწიფოებრივი ამოცანაა. იგი განსაკუთრებით აქტუალურია ახლა — სამამულო ომის დღეებში, ვინაიდან წითელი არმიის გამარჯვებისათვის საჭიროა მტკიცე სანიტარული ზურგი და ქვეყნის ეპიდემიოლოგიური კეთილდღეობა.

კუჭ-ნაწლავის იმ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სრული წარმატებისათვის, რომელნიც ზაფხულობით, ცხელ დროს ვრცელდებიან, თვითონ მოსახლეობა აქტიურად უნდა ეხმარებოდეს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს ყველა იმ ღონისძიების გატარებაში, რასაც ისინი ეპიდემიურ დაავადებათა გაჩენის თავიდან ასაცილებლად იღებენ.

კუჭ-ნაწლავის დაავადებებს: მუცლის ტიფს, პარატიფებსა და დიზენტერიას, ისევე როგორც სხვა გადამდებ ავადმყოფობებს, მიკრობები იწვევს.

კუჭ-ნაწლავის დაავადებანი განსაკუთრებით საშიშია ბავშვებისათვის. ზაფხულობით ბავშვები ადვილად ხდებიან ავად ეგრეთწოდებული საზაფხულო ფაღარათით. ცხელ დროს მშობლები განსაკუთრებით უნდა გაუფრთხილდნენ ბავშვებს, რომ ავად არ გახდნენ, და თვალყური ადევნონ მათ ჯანმრთელობას. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ბავშვის მოშორება ძუძუდან გვიან გაზაფხულზე ან ზაფხულში. დედის რძე ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობის განმტკიცებას და იცავს მას ფაღარათით დაავადებისაგან. ძუძუს წოვების დროს საჭიროა სისუფთავის დაცვა — ხელებისა და ძუძუს თავების დაბანა ნადუღი წყლით. არ შეიძლება ბავშვის ძალიან თბილად ჩაცმა. ბავშვს მსუბუქად უნდა ვაცმევდეთ და რაც შეიძლება მეტ ხანს ვამყოფებდეთ ჰაერზე, მაგრამ არა მზეზე, ვბანდეთ თბილ წყალში.

პატარა ბავშვებს, როგორც მოზრდილებსაც, სასმელი ესაჭიროებათ. რძე წყლის მაგიერობას ვერ გასწევს. ბავშვებს ხშირად ასვით მხოლოდ ნადუღი წყალი. გულდასმით ადევნეთ თვალი იმ საჭმლის სისუფთავეს, რომელსაც დამატებითი კვებისათვის აძლევთ ბავშვს ექიმის ან პატრონაჟის დის ნებართვით. მჭიდრო კავშირი იქონიეთ საბავშვო კონსულტაციებთან; იქ გასწავლიან, როგორ დაიცვათ ბავშვი ავადმყოფობათაგან.

ბავშვებისათვის (1 წლის ასაკამდე) განსაკუთრებით საშიშია საზაფხულო ფაღარათი: მწვავე დისპეპსია, ტოქსიკური დისპეპსია და დიზენტერია. მწვავე დისპეპსიის პირველი ნიშნებია მადის დაკარგვა პირის ღებინება და კუჭის ხშირი მოქმედება.

ტოქსიკური დისპეპსია მწვავე დისპეპსიისაგან იმით განსხვავდება, რომ ტოქსიკური დისპეპსიის დროს ავადმყოფის მდგომარეობა მძიმეა. ბავშვი მალე [illegible] ნაში, უსუსტდება გულის მოქმედება, კუჭი ძლიერ ხშირად მოქმედებს და განავალი თხელია. ზომების დროზე მიუღებლობა სიცოცხლეს ემუქრება.

დიზენტერიის ძირითადი ნიშნებია ავადმყოფობის მწვავედ, უეცრად დაწყება, მაღალი ტემპერატურა, ლორწოიანი სისხლნარევი განავალი და კუჭის მოქმედება დღე-ღამეში 20-ჯერ და მეტჯერ.

ტოქსიკური დისპეპსიით ან დიზენტერიით დაავადებულ ბავშვს რაც უფრო ადრე მოვათავსებთ საავადმყოფოში, მით უფრო მეტი იქნება მისი გამოჯანსაღების შანსები, რადგან იგი იქ უზრუნველყოფილი იქნება მედიკამენტებით, მათ შორის სულფიდინის ხსნარითაც.

კუჭ-ნაწლავის გადამდებ დაავადებათა თავიდან აცილების საქმეში დიდ როლს ასრულებს მუცლის ტიფისა და დიზენტერიის საწინააღმდეგო აცრა.

მუცლის ტიფის საწინააღმდეგო აცრა დაავადებათაგან იცავს დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში, ხოლო დიზენტერიის საწინააღმდეგო აცრა — 5-6 თვემდე; თუ ბავშვები ავად გახდებიან აცრის შემდეგაც, ავადმყოფობა ადვილად და გაურთულებლად მიმდინარეობს და ბავშვები მალე მორჩებიან.

ჰოსპიტალიზაცია — საავადმყოფოში მოთავსება სავალდებულოა ყველასათვის, ვინც კუჭ-ნაწლავის ავადმყოფობებით დაავადდება. საავადმყოფოებში მათთვის უზრუნველყოფილია საჭირო მოვლა და მკურნალობა. ამიტომ კუჭ-ნაწლავის დაავადების შემთხვევაში ყოველ ავადმყოფთან დაუყოვნებლივ გამოწვეულ უნდა იქნას ექიმი, რომელიც გადაწყვეტს, რა უნდა მოუხერხდეს ავადმყოფს. ამას მოითხოვს უწინარეს ყოვლისა თვით ავადმყოფის და მისი მახლობლების ინტერესები.

კუჭ-ნაწლავის დაავადებათა საწინააღმდეგო არართული პროფილაქტიკური ღონისძიებების დაცვისას მოსახლეობამ მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ავადმყოფობის თავიდან აცილება უფრო ადვილია, ვიდრე მისი განკურნება, და მუდამ ფრთხილად იყოს, რომ ჩვენს რიგებში არ დაუშვას ეპიდემიური დაავადებანი, არ გაართულოს ზურგში წარმოებული დაძაბული მუშაობა, რომელიც მთლიანად მიმართულია 1942 წელს გერმანელ ოკუპანტთა სრული განადგურებისათვის.

ი. ფრანგულიანი

საქ. სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოადგილე, მთავარი სახელმწიფო სანიტარული ინსპექტორი.

დოც. ბ. ჩიქოვანის ორიგინალური სამკურნალო მეთოდი

პერიფერიულ ნერვთა ტრავმული დაზიანების ერთ-ერთ მძიმე გართულებას კაუზალგია წარმოადგენს. კაუზალგია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს წვითი ხასიათის ტკივილებს. ამ ავადმყოფობას ახასიათებს მწვავე შეტევითი ხასიათის ტკივილები დაზიანებულ კიდურში. ავადმყოფობა თვეობით გრძელდება და უმეტეს შემთხვევაში ავადმყოფი სრულ ინვალიდობამდე მიჰყავს (კიდურის ატროფია, სახსრების შეხორცება, ტროფიკული წყლულები და სხვ.).

მიუხედავად იმისა, რომ ამ დაავადების აღწერიდან (ვეირ-მიტჩელი, 1864 წ.) 80-მდე წელმა განვლო, უშუალო მიზეზი და მკურნალობა ამ სნეულებისა დღემდე შესწავლილი არ იყო. თანამედროვე ლიტერატურაში ეს დაავადება მიჩნეულია ძნელ და ზოგჯერ სრულებით უკურნებელ ავადმყოფობად.

თბილისის ნეიროქირურგიული ჰოსპიტლის მთავარმა ქირურგმა დოც. ბ. ჩიქოვანმა საკითხის სათანადოდ შესწავლის შემდეგ წამოაყენა ოპერაციული ჩარევის სამი მეთოდი. როდესაც ნერვის დაზიანების შედეგად განვითარებულია კიდურის სრული დამბლა და დაზიანებული ნერვი განიცდის ღრმა ნაწიბუროვან გადაგვარებას, დოც. ჩიქოვანი კაუზალგიის მკურნალობისათვის იყენებს დაზიანებული მიდამოს რეზექციას ნერვის გაკერვით. მან ჩაატარა რამდენიმე ათეული ოპერაცია ავადმყოფობის სრული განკურნებით.

მაგრამ იმ შემთხვევებისათვის, როდესაც კიდურის დამბლას ადგილი არ ჰქონდა და ნერვის ღერო მცირედ ცვლილებებს განიცდიდა, დოც. ჩიქოვანის მიერ პირველად შემუშავებულ და მოწოდებულ იქნა მეთოდი დაავადებული ნერვის განბოჭკოებისა ან ნაწილობრივი რეზექციისა. ამ მეთოდების საშუალებით შესაძლებელი გახდა იმ მცირე ნაწიბურების აღმოჩენა ნერვის ბოჭკოებში, რომლებიც წარმოადგენდნენ თურმე ამ სნეულების ფარულ მიზეზს. ამ მეთოდით ჩატარებულ იქნა 62 ოპერაცია, რომლებმაც ბრწყინვალე შედეგები მოგვცა. არცერთ შემთხვევაში კიდურის დამბლას ადგილი არ ჰქონია. ავადმყოფები სავსებით იკურნებოდნენ.

დოც. ჩიქოვანმა თავისი ორიგინალური სამკურნალო მეთოდის შემუშავებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამედიცინო მეცნიერებაში.

ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკის ამ ახალ ეფექტურ სამკურნალო მეთოდს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახლა, სამამულო ომის პირობებში, როცა მებრძოლთა პერიფერიული ნერვების ტრავმული დაზიანების გამო კაუზალგია ხშირ მოვლენას წარმოადგენს.

ლექციები

7 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება ამხ. ფროშენბერგის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: „სამამულო ომის მიმდინარე მომენტი".

ბილეთების შეძენა შეიძლება საქალაქო აგიტპუნქტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

8 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. მოლოტოვის რაიკომის აგიტპუნქტში შესდგება ამხ. ქვილითაიას ლექცია ქართულ ენაზე. თემა: „სამამულო ომის მიმდინარე მომენტი".

ბილეთების შეძენა შეიძლება რაიაგიტპუნქტში.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2842520 გაცემული საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის მიერ გრიშა ბეგლარის-ძე ჯომარჯიძის სახელზე, პარტბილეთი № 2842256, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის მიერ ქეთევან რომანოზის-ასულ კირთაძის სახელზე, და პარტბილეთი № 3722163, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის მიერ ლოლა ვასილის-ასულ გელენიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

თეატრებსა და დასასვენებელ პარკებში

რუსთაველის სახელობის — 7 აგვისტოს — „ელენეს მოტაცება". **მუსიკალური კომედიის** — 7 აგვისტოს — „ცისფერი კლდეები", 8 აგვისტოს — „საქორწინო მოგზაურობა", 9 აგვისტოს დილით და საღამოს — „თივა და ავი ძაღლი". **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი** — ყოველდღე — სასული ორკესტრი, ჯაზი, ევროპული ცეკვები, კინო ახალი პროგრამით, საბავშვო რკინიგზა და სხვ. **საქ. სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო ბაღი** — 7, 8 და 9 აგვისტოს—კონცერტი ლიუბოვ ორლოვას მონაწილეობით.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. და კომკავშირელი — „საბრძოლო კინოკრებული № 10". **ოქტომბერი** — „უმზითვო პატარძალი". **დამკვრელი** (საზაფხულო) — „მეგობრები ხელმეორედ ხვდებიან ერთმანეთს". **ლუქსემბურგის სახ.**— „საბჭოთა კინოჟურნალი № 93", საბჭოთა ჯარები ირანში. **სპარტაკი** — „ახალი ცხოვრებისაკენ". **26 კომ. სახ.** (საზაფხულო) — „ცირკი".

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე გ. ჯიბლაძე

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აცხადებს კონკურსს დოცენტების თანამდებობათა დაკავებისათვის:

1. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კათედრასთან,
2. სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრასთან,
3. დაუსწრებელ პედაგოგიურ განყოფილებაზე: ა) ეკონომიურ გეოგრაფიაში, ბ) ბოტანიკაში, გ) უხერხემლოთა ზოოლოგიაში, დ) ახალ ისტორიაში, ე) ახალ ქართულ ლიტერატურაში და ვ) რუსულ ლიტერატურაში.

კონკურსის ვადა 10 აგვისტომდე.

კონკურსში მონაწილეობისათვის საჭიროა შემდეგი საბუთების წარმოდგენა: განცხადება, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი (ანკეტა), ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი, ცნობა სამხედრო ხარისხისა და წოდების მინიჭების შესახებ, საქმიანი და საზოგადოებრივი დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია.

განცხადებები აღნიშნულ საბუთებთან ერთად უნდა გამოიგზავნოს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სახელზე შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, მარის ქ. № 1.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი იუწყება, რომ 9/VIII, 6½ ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია რუსული ენის კათედრის გამგის დ. მგელაძის შვილის
სერგო მგელაძის
სამოქ. პანაშვიდი. 989

თბილისის მე-15 სკოლის თანამშრომლები იუწყებიან, რომ 9/VIII, 6 ს. სოფ. კუკიაში დანიშნულია მასწავლებელ ელეონორა მიქელაძის დედის
ფელიდოსი ონისიმეს-ასულ მიქელაძის
სამოქ. პანაშვიდი. 995

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის I საბავშვო ბაღის ადმინისტრაცია და პედკოლექტივი იუწყებიან, რომ 9/VIII, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია გოცა შენგელიას მამის
დავით ექვთიმეს-ძე შენგელიას
სამოქ. პანაშვიდი. 996

სამტრესტის ტექბაზის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან კოლია ჩახავას ცოლისდის
ოლია სიმონის-ასულ გეგუჩაძე-ჩიხრაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9 და 10/VIII, 7½ ს. კავშირის ქ. № 1. დაკრძალვა 11/VIII, 6 ს. 998

ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექცია და ადგილკომი იუწყებიან აკაკი სიგუას დის
თამარ კონდრატეს-ასულ სიგუას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 9/VIII, სოფ. ნახუნაოში (გეგეჭკორის რაიონი). 999

ქალაქის მე-3 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან ამავე პოლიკლინიკის ექიმ თამარ იაშვილის დედამთილის
ნინო ნიკოლოზის-ასულ იაშვილის
გარდაცვალებას. 970

ცეკავშირის სამრეწველო ბაზის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან, რომ 9/VIII, 2 ს. პეტრეპავლეს სასაფლაოზე დანიშნულია გერასიმე პარონიანის შვილის
რუზანას
სამოქ. პანაშვიდი. 985

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის ბავშვთა სნეულებების კლინიკა იუწყება, რომ 9/VIII, 6 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია პროფესორ ილია გიორგის-ძე **ლორთქიფანიძის** სამოქ. პანაშვიდი. 987

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. უე 7971